№ 241

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 241

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნ. ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა, კნ. ბარბარე მაკარის ასული თარხან-მოურავისა, გენერალ მაიორი ივანე და კონსტანტინე მაკარის ძენი ჯამბაკურ-ორბელიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარელის დედისას კავალეროსანის დამის

**კნეინა ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანისა**

და სთხოვენ მობრძანდენ ხუთშაბათს, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, რეუტოვის ქუჩაზედ, სახლი № 13, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება სიონის ტაძარში.

(2—204—2)

17-ს ნოემბერს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

**მღვდელი გრიგოლ დავითის ძე გიორგიევი.**

შვილები განსვენებულისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვენ მობრძანდნენ ტფილისის მაზრის სოფ. დილომს შაბათს, 22 ნოემბერს, დილის 10½ საათზედ, წირვასა და ანდერძზედ დასასწრებლად.

(2—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 23 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

**ციმბირელი**

კომედია 4 მოქ. თხზ. ა. ცაგარლისა.

II

**გულმა იგრძნო**

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედ. თარგმ. მ. მ. საფაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მოკლე ხანში იქნება ბენეფისი გ. ა. აბაშიძისა.

24 ნოემბერს ქალაქ დუშეთში დაარსდება და დაიწყებს მოქმედებას ნოტარიუსის კანტორა.

(3—206—2).

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწედ ახლად დანიშნული ბ-ნი კოვალევი თანამდებობის აღსრულებას 21 ნოემბერს შეუდგება. ბ-ნი კოვალევი ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნად იყო, ხოლო შემდეგ ტფილისის ბომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

⁂ 21 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში კენჭს უყრიან იმ ქალიშვილებს, რომელნიც ახლად განთავისუფლებულ სახელმწიფო ვაკანსიებზედ უნდა იქმნან მიღებულნი. კენჭს დედ-მამიანებს უყრიან.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა თეირანიდგან ედუარდ დენსონ რეესი, რომელიც ლონდონის უნივერსიტეტში სპარსულის ენის პროფესორად არის.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გასულის წლიდგან იკისრა გაყიდვა გოგირდისა, შაბიამანისა და სხვ. ვაზის წამლობისათვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან. მსურველი ამ წამლების ყიდვისა ბევრი აღმოჩნდა. ერთის წლის განმავლობაში სამეურნეო საზოგადოებამ გაჰყიდა 10,000 მანათის წამლები.

⁂ ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ ამ დღეებში განიხილა გოლოვინის პროსპექტზედ მოვაჭრის გასპარიანცის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ გაფუჭებულ მოთალს ინახავდა და ჰყიდდა. მოსამართლემ გასპარიანცორის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

⁂ უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებში უკვე დაარსდა კამისიები, რომელთაც უნდა გამოსცადონ მღვდლების, მთავარ-დიაკვნის და მედავითნის ადგილის მოპოების მსურველნი, რომელთაც სწავლა არ დაუსრულებიათ არც ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში და არც სასულიერო სემინარიაში. ეგზამენებისაგან თავისუფალნი არიან მხოლოდ სემინარიაში კურს დასრულებულნი. ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნიც განთავისუფლებულნი არიან ეგზამენებისაგან მედავითნის თანამდებობის მიღებისათვის. კამისიებს სახელმძღვანელოდ მიცემული აქვთ პროგრამები, რომლის თანახმად უნდა მოახდინონ გამოცდა. ეს პროგრამები მალე გამოცხადებული იქნება. ამ კამისიების დაარსების შემდეგ ვისაც ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელში არა აქვს სწავლა დასრულებული, იმას მედავითნის თანამდებობის მიღება არ შეუძლია. ვისაც სემინარიაში არა აქვს სწავლა დასრულებული, იმას კამისიის გამოუცდელად მღვდლობის ხარისხის მიღება არ შეუძლია. იმერეთის ეპარქიაში კომისია არის დაარსებული ქუთაისის სასულიერო სემინარიასთან ამავე სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით. („მწყემსი“).

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგემ მიჰმართა ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს და სთხოვა პირველი—მისწერონ სოფლის მამასახლისებს, გამოუცხადონ ხაზინის მამულებზედ დასახლებულ გლეხებს, რომ მათ არ შეუძლიანთ გაჰყიდონ ის ხაზინის მამულები, რომელიც იმათ უჭირავთ, როგორც მაგალითად: სახნავი, საბალე, სამოსახლო და სხვა მიწები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, ვინც გაჰყიდის ასეთს მამულს და ისიც, ვინც იყიდის, სასჯ. დებ. მე 1699 და 1702 მუხლების ძალით პასუხის გებაში იქმნება მიცემული. შემდეგ, თუ რომელიმე გლეხი გარდასახლდება ერთის საზოგადოებიდგან მეორეში, ან სხვა წოდებას მიეწერება, იმისი მამული გადადის სოფლის საზოგადოების განკარგულებაში გაჭირვებულთათვის მისაცემად. ამასთან იმ წევრს, რომელიც საზოგადოებას განშორდება, ნება ეძლევა დაუთმოს თვისი სახლები, სახელმწიფო მიწებზედ აშენებული ბაღები და ყოველგვარი მოწყობილება იმათ, ვინც იმავე საზოგადოების სახელმწიფო მიწაზედ არის დასახლებული. მეორე—დააკისრონ სოფლის მამასახლისებს და ყველა თანამდებობის აღმასრულებელთ, არ შეამოწმონ ხოლმე ყოველგარი საბუთის ქაღალდი, რომლითაც სახაზინო მიწა ისეთს კაცს ეძლევა, რომელიც სხვა საზოგადოებაშია; ხოლო თუ ასეთი საქმე ჩაიდინა ვინმემ, ეს ამბავი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ქონებათა მმართველობას.

⁂ სამურზაყანოდგან სწერენ გაზ. „ნ. მიმ.“-ს: ნაბაკევის სოფლის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა იმის შესახებ, რომ ციმბირში გადასახლებულ იქმნას ნაბაკევში მცხოვრებელი ხუთი გლეხი: ჩეპია ხუპენია, დიმიტრი კირტბაია, გვაზაია, შენგელია და სხ., რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

⁂ ქუთაისი. ქართულ დრამატიულ დასის საქმე ძალიან კარგად მიდის. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრება.

⁂ ახალ-სენაკისა და სამტრედიის საფოსტო განყოფილებანი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებად იქმნა გადაკეთებულნი.

სოფ. აგდამი, (შუშის მაზრა), 17 ნოემბერი. გუშინ სალამოს, ასე 8 საათზედ, შუშა-ევლახის სადგურ შიხლარ-კორვენდიდგან სადგურ აგდამისაკენ გამოვიდნენ ეტლით სამნი მგზავრნი: აბ. ოგანესოვი, ავ. ოსეპოვი და მატ. ამირჯანოვი. გამოსცილდნენ თუ არა რამდენსამე ვერსს, „ნარრი-დარი“-ს ხიდთან შეაყენეს სამმა შეიარაღებულმა. ჩამოხტნენ ცხენებიდამ და ისიყო უნდა გაეძარცვათ, ამ დროს აგდამიდამ მიმავალმა ეტლმა, რომელსაც აცილებდა ჩაფარი, მიუსწრო. მხედარნი, რასაკვირველია, სწრაფად გაიფანტნენ. შესჩივლეს რა მგზავრებმა იმათ მხსნელ ახალ მგზავრთ, ჰკითხეს ჩაფარს ვინაობა იმ სამის შეიარაღებულის კაცისა. ჩაფარმა გულ-დამშვიდებით უპასუხა, რომ ისინი „გიაზმა-შეკეში“—გზის მცველი ჩაფრები იყვნენო. გამოიარეს კიდევ რამდენიმე ვერსი და ეს ვაჟბატონები კიდევ შეხვდნენ სოფ. კიასლუსთან. აქ-კი თავაზიანად მოსთხოვეს „ნაოტკი“, მიიღეს სამი მანეთი და განშორდნენ შიშით თავზარ დაცემულ მგზავრებს.

⁂ 18 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე, მადერის ქუჩაში, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ხანაგოვის მოსამსახურე-ქალმა მარი შტენბერმა კარბოლის სიმჟავე დალია იმ აზრით, რომ თავი მოეკლა. შტენბერი მაშინვე საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, სადაც რამდენსამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა, როგორც ხანაგოვი ამბობს, ერთი თვეა, შტენბერი რაღაზედაც დაღონებული იყო და სულ ნაღვლიანობდა, გულ-ჩახვრული იყოო. ნამდვილი მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ არ არის გამორკვეული.

⁂ ამ დღეებში ორი უცნაური ქურდობა მოხდა ტფილისში. ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ გაძარცვეს დუქანი და მიხეილის ხიდთან ჯალალოვის მაღაზია. ორივე შემთხვევაში დუქნის დარაბები და კლიტე გაუტეხავი იყო, დუქნის შუშები-კი ჩამტვრეული და კასსაც გატეხილი. ამ ქურდობის ავან-ჩავანი უკვე გამოირკვა შემდეგის ამბით: სამშაბათს, 18 ნოემბერს, პოლიციელმა ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ 5 საეჭვო კაცი შენიშნა თურმე და დაუწყო თვალყურის დევნება. ყველანი მივიდნენ მირაქოვის ფეხ-საცმელების დუქანთან, ერთი მათგანი მხრით მიაწვა თურმე დარაბების მარცხენა მხარეს, სამს დარაბების მეორე მხარე გამოუწევიათ და მეხუთე-კი შემძვრალა დარაბების იქით. ამ დროს პოლიციელიც მისულა; გარეთ მდგომნი გაქცეულან, დარაბებს პოლიციელი მისწოლია და დაუჭერია ქურდი. როცა ქურდი პოლიციაში მიჰყავდათ პოლიციელს შეკრებილს ხალხში ქურდის ერთი ამხანაგთაგანი უცვნია და ისიც შეუპყრია. ქურდები აღმოჩენილან სიღნაღის მცხოვრებლები არშაკა მარქაროვი და სიმონ დოსტიშვილი.

## წერილი დუშეთიდგან

8 ნოემბერს დასრულდა სამხედრო ბეგრის საკრებულოს მუშაობა აქაურ მცხოვრებთა ჯარში გასაწვევად. დუშეთის მაზრა სამ ნაწილადაა გაყოფილი ჯარში გაწვეულთა შესაკრებად: დუშეთის ნაწილი, ქვეშეთისა (მთიულეთში, სოფ. ფასანაურს) და ქსნისა (სოფ. ახალგორს). წრეულაც ჯარში გაწვევა ჩვეულებრივ ქვეშეთიდგან დაიწყო, შემდეგ ქსნიდგანა და ბოლოს დუშეთიდგან. ქვეშეოიდგან უნდა გაეყვანათ 42 კაცი, ხოლო კენჭის ამოსაღებად დაბარებული იყო 238 კაცი, მათ შორის უშეღავათო 133 კაცი. ქსნიდგან უნდა გაეყვანათ 34 კაცი, დაბარებული იყო კენჭის ამოსაღებად 204, მათ შორის უშეღავათო 109. დუშეთიდგან უნდა გაეყვანათ 38, დაბარებული იყო 287 სული, უშეღავათო 151 კაცი. კენჭის ამოსაღებად დაბარებულთაგან სამსავე ნაწილში არ გამოცხადდა 165 სული (თითო ნაწილში 55 კაცი).

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი სამხედრო ბეგარის გადახდას საკმაოდ შეეჩვია, კენჭის ამოსაღებად მოსულ ახალგაზდების სიმღერასა და მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს კია, რომ ღვინოს ბევრსა სვამდნენ დუშელ მიკიტნების სასიხარულოდ. ჯარის კაცთა მიღების დროს დუშეთში და ქსანზედ ერთმა საყურადღებომ და არა-სასიამოვნო გარემოებამ იჩინა თავი ამ უკანასკნელს ორ წელიწადსა. საქმე იმაშია, რომ ჯარში გაწვეული ახალგაზდები ერთობ წვრილი და ტანადობით ნაკლებად დასრულებულნი აღმოჩნდნენ, ამის გამო ზომაში არ მოდიოდნენ და სამხედრო საკრებულო იძულებული იყო მრავალი მათგანი დროებით დაეთხოვა, შემდეგ წელიწადს მოსასვლელად და ხელმეორედ შესამოწ-

მებლად დაედო იმათთვის ვადა. ამ მიზეზით დაწუნებული იყო ქვეშეთის ნაწილში 66 კაცი, ქსნისაში—70 და დუშეთისაში—112. ამ გვარად, ისეთების რიცხვი, ვისაც შეღავათი არ ეძლევა და სახლში კიდევ საკმარისი მუშა-კაცი რჩება, სამყოფი არ აღმოჩნდა და დავალებული რიცხვი სამსახურში გასაყვანი ჯარის კაცებისა ვერ შეავსო დუშეთისა და ქსნის ნაწილში. ამათ შემდეგ ჯერი შეღავათიანებზედ მიდგა და მათის რიცხვიდგან შეავსეს დანაკლისი, თუმცა ესენი კანონით, სამსახურში წასვლის მაგიერ, სათადარიგო ჯარში უნდა ჩარიცხულიყვნენ. ქსნიდგანა და დუშეთიდგან შეღავათიანები ოთხ-ოთხი მიიღეს, ამას გარდა დუშეთში 38 კაცი უნდა მიეღოთ, ხოლო მიიღეს 34 კაცი და დააკლდა 4 კაცი, რადგან მესამე ხარისხის შეღავათიანი ამ ოთხის მეტი არ აღმოჩნდა, ხოლო მეორე და პირველის ხარისხის შეღავათიანების მიღების ნება-რთვა არა ჰქონდა სამხედრო ბეგარის საკრებულოს. როგორც ზევითაცაა ნათქვამი, 165 კაცი კენჭის ამოსაღებად მოწვეული არ გამოცხადდა სამხედრო ბეგარის გადასახდელად და დღესაც თავისუფლად დასეირნობს; სამხედრო ბეგარის საკრებულო-კი იძულებული იყო სამსახურში ისეთები მიეღო, რომლებიც ხელ-მოკლე ოჯახის შვილები იყვნენ და ამის გამო კანონის ძალითაც შეღავათი ჰქონდათ მინიჭებული.

ეჭვი არაა, გულ-მხურვალედ რომ მოჰკიდებიყო, ვისიც ჯერ არს, და ის 165 კაციც თავის დროზედ წარმოედგინა სამხედრო ბეგარის გადასახდელად, ამით ხელს შეუწყობდა სამხედრო ბეგარის თანასწორსა და სამართლიანს გარდახდასა. არც კანონის მიერ მინიჭებული შეღავათი ვისმე ჩაუვლიდა უქმად და არც სამხედრო ბეგარის საკრებულო გახდებოდა იძულებული რომ სამსახურში მოუსვლელ უშეღავათოების მაგიერ შეღავათიანები ხელ-მოკლე ოჯახის შვილები მიეღო სამსახურში.

სამხედრო ბეგარის გადასახდელად დუშეთში დაბარებულს 287 კაცს რომ 55 მოუსვლელი გამოვაკლოთ და 132 პირველისა და მეორე ხარისხის შეღავათიანები, გამოვა, რომ სამხედრო ბეგარის გარდახდა მარტო 100 კაცს დააწვა კისრად. ასევეა ქსნის ნაწილშიაც. დაბარებულთა საერთო რიცხვს 204-ს რომ 55 მოუსვლელი გამოვაკლოთ და 93 პირველისა და მეორე ხარისხის შეღავათის მქონენი, სამხედრო ბეგრის გადამხდელი 56 კაციღა რჩება.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე სიმრავლე პირველის ხარისხის შეღავათიანებისა, დედ-მამის ერთა შვილებისა: ქვეშეთის ნაწილიდგან მოწოდებულია 69 კაცი, ქსნიდგან—72 და დუშეთის ნაწილიდგან—100 კაცი.

ძნელია ხალხის ამ გვარად დაწვრილების მიზეზს მიაგნოს კაცმა, ხოლო ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ეს არა-სასიამოვნო გარემოება ახლოა დაკავშირებული თვითონ გლეხთა ოჯახის დაკნინებასთან, გაუნათლებლობასთან, არა ჰიგიენურ ცხოვრებასთან და სიღარიბესთან და ხელმოკლეობისა, უფრო მეტად-კი ადგილის სიმცირისა, აუტანელის ჯაფისა და გარდასახადის შედეგია.

გარეშე მაყურებელი

# რუსეთი

ფინანსთა სამინისტროში წარუდგენიათ განსახილველად ახალი საშუალება გერბის მარკების დამზადებისა. მარკებს ამზადებენ თურმე ისეთ ნაირად, რომ პირველ ხმარების შემდეგ ფერი ეცვლება და კაცი ადვილად მიხვდება, ნახმარია თუ არა მარკა.

— მოსკოვში არსდება ახალი დამხმარებელი საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება გაჰგზავნოს ხოლმე საზოგადოების წევრი პირველ დახმარებისავე აღმოსაჩენად იმათთვის, რომელნიც დაზარალდებიან სეტყვისა, ცეცხლისა, ნიაღვრისა, მიწის ძვრისა და სხვა უბედურებისაგან.

— 15 ნოემბრიდგან პეტერბურგში არსდება კურსები საპოლიტიკო ეკონომიისა, ვაჭრობისა, საზღვაო უფლებისა და სხვა საგნებისა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობა მრეწველობისათვის. კურსები არსდება საკომერციო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების საბჭოს თაოსნობით.

— საერო განათლების მინისტრის წინადადებისამებრ სახელმწიფო საბჭომ ნება დართო, რომ სახალხო განათლების ხელის შესაწყობად მომავალ 1898 წ. გადადებულ იქმნას 200,000 მან. მეტი, ვიდრე შარშან იყო გადადებული.

— რუსეთში უმაღლესს სატეხნიკო სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ დაარსებულმა კომისიამ უკანასკნელ სხომაზედ დაადგინა იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ რეალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთაც მიეცეთ ნება უნივერსიტეტში შესვლისა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** რაც დღეები გადის, დრეიფუსის საქმე მით უფრო მეტს ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას იწვევს. გაზეთები თავით ბოლომდე დრეიფუსის შესახებ წერილებით არის სავსე, საზოგადოებას პირზედ მხოლოდ დრეიფუსი და იმის საქმე აკერია და სხვა აღარაფერზედ ჰლაპარაკობს. ესეც პანამის საქმესავით გაიჭიმა და ბოლო აღარ უჩანს. გაზ. „Kappel“-ი ამბობს, რომ 1894 წელს, როდესაც დრეიფუსის საქმე ირჩეოდა, გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა თავისის ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნა საფრანგეთის მაშინდელს პრეზიდენტს კაზიმირ პერიეს. იმპერატორი სწერდა: „პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ კაპიტან დრეიფუსს გერმანიის მთავრობისათვის არ მიუყიდნია საფრანგეთის სახელწიფოს საიდუმლო ქაღალდები და თუ საჭირო იქმნება, ჩემს მეფურ სიტყვას მოგცემთო“. ამ წერილის მიუხედავად დრეიფუსი განსამართლებულ და დასჯილ იქმნა. იმპერატორ ვილჰელმს ეს ამბავი ძალიან სწყენია. შემდეგ იმპერატორი ელჩის პირით ერთხელ კიდევ შეეკითხა თურმე საფრანგეთის მთავრობას: მართალია თუ არა, რომ ის საბუთები, რომლითაც დრეიფუსს ბრალი ედება, გერმანიის მიწა-წყალში იქმნა ნაპოვნიო?. პერიემ მაშინვე გადასწყვიტა, პრეზიდენტობას თავს დავანებებო და მართლაც, ათის დღის შემდეგ ახალი პრეზიდენტი იქმნა არჩეული.

**ლონდონი.** ამას წინად ლონდონში ხმა გავარდა, რომ შესანიშნავი გლადსტონი ავად არისო. ამ ამბავმა მთელი ლონდონი ფეხზედ დააყენა. განსაკუთრებით დიდს საფიქრებელს მიეცნენ ლიბერალთა დასის წევრები, რომელთა მეთაურადაც წინად გლადსტონი იყო. ამ ამბის გაგონებისათანავე გაზ. „Weekly Sun“-ის ერთი თანამშრომელი, გლადსტონის დიდი თაყვანის მცემელი, ჰოგარდენში გლადსტონთან წავიდა, რათა დარწმუნებულიყო, რამდენად მართალია გავრცელებული ხმა. როგორც ამ თანამშრომლის სიტყვებიდგანა სჩანს, გლადსტონი მართლაც არა ყოფილა კარგს მდგომარეობაში. თუმცა მოხუცი გონებით უწინდელებრ ნათლად სჯის და არჩევს ყველაფერს, მაგრამ უზომო მუშაობისა და მუდმივის ჯდომისაგან სხეული ძალიან დასუსტებია. ამასთან საშინლად გამხდარა და გულის ფრიალი დასჩემებია. ამისდა მიუხედავად, გლადსტონი მუშაობაზედ ხელს არ იღებს და დილით საღამომდე სწერს მაგიდასთან რაღაცეებსაო.

# ფელეტონი

## ინდოელი ქალები

(დასასრული *)

ბუ. მოწყალე ხელმწიფე

*დამაკვირდი*

ოხვრა არის სრული, მშვენიერი და, მაშასადამე, გადმოსათარგმნელად შეუძლებელი წინადადება სიყვარულის ისტორიისა.

საფირის ლექსიკ.

***

ცოლისა ჭკიცხავ, რომ ხან ერთს ამოუჯდება გვერდში და ხან მეორეს?

ანანდიბაი ჟოზეფ. ანანდიბაი ჟოზეფ, როგორც მოვიხსენიეთ, რამაბაის ნათესავი იყო. ორივეს, როგორც რამაბაის, აგრეთვე ჟოზეფს, ერთი აზრი, სახელდობრ, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობა და მათ შორის სწავლა განათლების გავრცელება ასულდგმულებდა.

ჩვენ დავინახეთ, რომ რამაბაიმ შეუფერებელის ქორწინებით და ქრისტიანობის მიღებით სამოქალაქო უფლებანი დაჰკარგა, იგი თავისის წოდებიდგან გამორისხულ იქმნა, თუმცა ამ გარემოებას სრულებით არ შეუშინდა და ყურადღება არ მიაქცია. ანანდიბაი, პირიქით, მტკიცეთ იცავდა თავის ხალხის ზნე-ჩვეულებებს. იმას აზრადა ჰქონდა, მაგალითით დაემტკიცებინა, რომ ხალხის მიერ ისტორიულად შექმნილის წესჩვეულებათა და ევროპის ცივილიზაციის ერთად მოთავსება შესაძლებელია. ჟოზეფ პირველი ბრამინი-ქალი იყო, რომელმაც ქრისტიანობა არ მიიღო და ზღვა-კი გადაჰლახა სამკურნალო მეცნიერების შესასწავლად. ასეთის ვითომდა თავხედობისთვის თავის წოდებიდგან განრისხულ იქმნა და წასვლის დროს ნაცნობ-ნათესავებმა წყევა-კრულვა თან გააყოლეს.

ანანდიბაი ჟოზეფ დაიბადა 1865 წელს, ქალაქ პუნაში. იმისი მამა ამბრიტაზარ ჟოზეფ შეძლებული მემამულე იყო და სცხოვრობდა ბომბეის ჩრდილოეთით კალიანში. პატარა ანანდიბაი ფუფუნებასა და სიმდიდრეში აღიზარდა. ხუთი წლისა იგი თავის სურვილით და ნათესავის გოპალ ვინისკის დახმარებით სანსკრიტულის ენის სწავლებას შეუდგა. შემდეგ როდესაც ვინიაკი ალიბაგში გადავიდა, ანანდიბაი თან გაჰყვა და იქ განაგრძო სწავლა. 1874 წელს იგი ცხრა წლისა შეიქმნა, რომ იმავე მასწავლებელს მიათხოვეს, რომელიც იმაზედ 20 წლით უფროსი იყო. კოლგაპურში ანანდიბაის ქალიშვილი გაუჩნდა, რომელიც უექიმობის გამო რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ახალგაზდა ქალი ამ გარემოებამ საშინლად დააფიქრა და დაალონა. საქმე ის არის, რომ ინდოეთში ავადმყოფ ქალს უფლება არა აქვს ექიმი მოიწვიოს, ის გაუნათლებელ და უვიცს ბებიას უნდა დაჰყაბულდეს. თუმცა უკვე არსებობდა მადრასში საექიმო სკოლა და თითქმის ყველა საპრეზიდენტოში საბებიო კლასები, მაგრამ იქ მხოლოდ ქრისტიანები სწავლობდნენ და ინდოელს ქალს-კი სარწმუნოებისა და ჩვეულების ძალით არამც-თუ სასწავლებელში შესვლა, სახლიდგან გამოსვლა და მამა-კაცების დანახვაც-კი არ შეეძლო. ამიტომ ანანდიბაიმ გადასწყვიტა ამერიკაში წასვლა, სადაც 1869 წლიდგან ქალებს სრულს საექიმო განათლების მიღების ნება ჰქონდათ დართული.

მთელი 4 წელიწადი სცდილობდა ანანდიბაი ამერიკაში წასვლას, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა. ბენგალიაში, სადაც ბოლოს გოპალი დასახლდა, ყველანი წინ აღუდგნენ იმის სურვილს. მართლ-მორწმუნე ბრამანებმა იმის მოკვლაც-კი განიძრახეს. ერთხელ ანანდიბაი იძულებული შეიქმნა ათასის კაცის წინაშე წამდგარიყო, გრძელი სიტყვა წარმოეთქვა და თავი გაემართლებინა.

ბოლოს, როგორც იყო, ანანდიბაი წავიდა ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში და 1883 წელს მკურნალობის სწავლას შეუდგა. როგორც ოთხი ხუთი დღის უსმელი კაცი დაეწაფება მშვენიერ ანკარა წყაროს, ისე დაეწაფა ახალგაზდა ქალი მეცნიერებას. დღე ღამეში 16 საათი განუწყვეტლივ სწავლობდა. მალე ანანდიბაიმ ყველას ყურადღება მიიქცია. სხვათა შორის ანანდიბაიმ ქალთა სამისიონერო საზოგადოებაში სიტყვა წარმოსთქვა და მთელი თავის მომავალის მოქმედების პროგრამა აღიარა. იმისდა მიუხედავად, რომ ამერიკის ჰავა არ უხდებოდა, ბოლომდის თავი გაიტანა და 1876 წელს სამკურნალო მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიიღო. იმის დისერტაცია გინეკოლოგიიდგან ყველამ საუკეთესოდ აღიარა. დისერტაციის კითხვას სამი ათასი კაცი და ქალი დაესწრო.

მკურნალობის მოწმობის მიღების შემდეგ ანანდიბაი კალგაპურის პირველ მინისტრის მიერ „Alebrt Edvard“ საავადმყოფოს გამგედ იქმნა მიწვეული. ანანდიბს დიდხანს აღარ დაუყოვნებია და სხეულით დასუსტებული და დაავადმყოფებული, მაგრამ სულით გახარებული, სამშობლოს გზას გაუდგა. გემზედ ისე ცუდად გახდა, რომ მახლობელთ იმისის მორჩენის იმედიცკი აღარა ჰქონდათ. ბომბეიში იმ პანდიტებმა, რომელთაც წინად განრიცხეს და განდევნეს მამაპაპათა ზნე-ჩვეულების დამარღვეველი ახალგაზდა ქალი, ეხლა დასუსტებული და სიკვდილის პირს მისული ანანდიბაი რომ დაინახეს, ტირილი დაიწყეს და დიდის-დიდებით მიეგებნენ. მაგრამ გვიან-და იყო, ავადმყოფს დიდის ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა. ხალხი ეკკლესიებში დადიოდა, ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთებს იმის მორჩენას. მაგრამ ღმერთებმა არ შეიწყნარეს ეს თხოვნა და 26 თებერვალს მიიბარეს ანანდიბაის სული. „მე ვქმენი იგი, რაც შევძელიო“ სთქვა უკანასკნელად ახალგაზდა ქალმა.

მისს ფრენი კამა. მაშინ, როდესაც ანანდიბაიმ ინდოეთს თავი მიანება, გემში ჩაჯდა და ამერიკისაკენ გასწია, ბომბეის საექიმო ინსტიტუტმა გადასწყვიტა ქალებს ინსტიტუტში შესვლის ნება დართოს და იმავე წელს ოთხი ინდოელი ქალი მიიღო. სწავლის გათავების შემდეგ ამ ქალებს მოწმობები მიეცათ, რომლის ძალით ბომბეისა და იმის ახლო-მახლო მათ მკურნალობა შეეძლოთ. პირველმა ინდოელმა ქალმა, რომელმაც ბომბეის უნივერსიტეტიდგან სამეცნიერო ხარისხი მიიღო, იყო მისს ფრენი კამა.

მისს ფრენი კამას ოჯახი წინადაც ცნობილი იყო განათლებით და ქველმოქმედებით. ერთმა იმისმა ნათესავმა, პრესტონჯეე კამამ, დააარსა ლონდონში დიდი სავაჭრო სახლი და ინდოეთთან ვაჭრობა დაიწყო. მაგრამ ავადმყოფობამ მალე აიძულა ლონდონისთვის თავი მიენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო, სადაც მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო საზოგადო საქმეში. პრესტონჯეე კამა დიდი მფარველი და მომხრე იყო დედათა განათლებისა. ამავე დროს ს. ს. ბენგელეს და კიტრეჯის მეთაურობით შესდგა მეცნიერთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ქალთა განათლება და მათი დამოუკიდებლობა ჰქონდა. 1883 წელს ამ საზოგადოების კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედაც ჯამსეტჯა ჟეჟებეი იყო, გადასწყვიტა: 1) მოიწვიოს ინგლისიდგან მკურნალი-ქალები, 2) დააარსოს უფასო აფთიაქი და ჩააბაროს იგი ზემოხსენებულ ექიმ-ქალებს, 3) დააარსოს საავადმყოფო ქალებისა და ბავშვებისათვის და 4) დაეხმაროს ფულით თუ საქმით ბომბეის ახალგაზდა ქალებს, რომ მათ სამკურნალო განათლება შეიძინონ. ყველა ამ საქმისათვის კომიტეტმა ჯერ ხანად 4,000 გირვანქა სტერლინგი გადასდო (40,000 მანეთი).

ამავე დროს პრესტონჯეე კამამ 12 ათასი გირვანქა სტერლინგი (1,200,000 მან.) გადასდო ისეთის საავადმყოფოს დასაარსებლად, რომლითაც ყველა ერის, წოდების და სარწმუნოების ქალსა და კაცს შეეძლო სარგებლობა. თორმეტის წლის შემდეგ ამ საავადმყოფოს მართვა-გამგეობა პრესტონჯეე კამას ახალგაზდა ნათესავმა ფრენი კამამ ჩაიბარა.

მისს ფრენი კამა დაიბადა 1866 წელს, ქალაქ ბომბეიში. იმისი მამა

*) იხ. „ივერია“ № 240.

რას ქმართლები, რადგან იგი ერთგულს ქმარს ქმნის!

შილერი

***

კეთილად ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე თავის კეთილად მოჩვენება.

რუკკერტი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

**ხელთ-ქმნილი ოქრო.** ჯერ ისევ უწინდელ დროს, საშუალო საუკუნოებში მეცნიერნი სცდილობდნენ ოქროს გაკეთებას. ასეთს მეცნიერებს სახელად ალქიმიკოსებს ეძახდნენ და ყველანი დასცინოდნენ, **რადგანაც** არავისა სჯეროდა, რომ ოქროს გაკეთება შესაძლებელი იქმნებოდა. მაგრამ, რაც უწინ ამ ალქიმიკოსებმა ვერ მოახერხეს, გვგონია, ეხლა შესაძლებელად გარდაიქცა. დიდი ხანი არ არის, რაც ჟურნალ-გაზეთებმა გამოაცხადეს, ერთმა ამერიკელმა ხელთ-ქმნილი **ოქრო** გააკეთაო. ეხლა ზოგიერთი საყურადღებო ცნობანი ხელთა გვაქვს და გვსურს მკითხველსაც ვაუწყოთ. ეს ამერიკელი გახლავთ განთქმული ქიმიკოსი სტივენ ემენსი, წევრი ამერიკის მრავალ სამეცნიერო საზოგადოებისა. ეს ქიმიკოსი იმდენ ხანს ეცადა, ვიდრე მართლა გააკეთებდა ხელთ-ქმნილს ოქროს. მართალია, თვით ემენსისა და ერთის საზოგადოების გარდა, რომელსაც ამ ქიმიკოსმა მიჰყიდა თვისი გამოგონება, ჯერ არავინ იცის, როგორა კეთდება ეს ხელთ-ქმნილი ოქრო, მაგრამ, რომ კეთდება-კი, ეჭვი არ არის. აი ზოგიერთი მეტად საყურადღებო ცნობა. საფრანგეთის სამეცნიერო ჟურნალი La Nature სწერს, რომ ამერიკაში ამ ჟამად უკვე იყიდება ხელთ-ქმნილი ოქრო. აპრილში, ზემოდ ხსენებულმა საზოგადოებამ მიჰყიდა $\frac{1}{2}$ გირვანქა ხელთ-ქმნილი ოქრო ნიუიორკის გამოსაცდელ კანტორას. ცოტა ხანს შემდეგ ზემოხსენებულ საზოგადოებისაგან დაიწყო ხელთ-ქმნილის ოქროს ყიდვა შეერთებულ შტატების ხაზინამ. აპრილიდგან დაწყებული სექტემბრამდე ხაზინას უყიდნია სულ $11\frac{1}{2}$ გირვანქა ხელთ-ქმნილი ოქრო. როგორც ჰხედავთ, ამერიკაში უკვე ხმარებაში შემოსულა ხელთ-ქმნილი ოქრო და რაკი თვით სახელმწიფოს ხაზინა ჰყიდულობს, სჩანს, რომ ეს ხელთ-ქმნილი ოქრო არაფრით ჩამოუვარდება ბუნებრივს ოქროს. ევროპიელმა მეცნიერებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ამბავს. დიურარი და კრუკსი წერილებით დაეკითხნენ ემენსს და ჰკითხეს, შეგვატყობინეთ ამ საქმის ვითარებაო. ემენსმა უპასუხა, ვერცხლისაგან ოქროს გაკეთების საიდუმლოს ვერ შეგატყობინებთ, რადგანაც ეს საიდუმლოება ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომელსაც მე ეს საიდუმლოება მივყიდეო. მხოლოდ ეს-კი შეატყობინა, რომ ჩვენ ოქროს მექსიკის ვერცხლიდგან ვაკეთებთ და პირობას ვერ მოგცემთ, რომ ოქრო სხვა ვერცხლისაგანაც გაკეთდებაო. ეს-კი აშკარაა, რომ სულ ცოტა ხანში, ესე იგი ერთის წლის შემდეგ ზემოხსენებული საზოგადოება დიდ-ძალს ხელთ-ქმნილს ოქროს გაჰყიდის, თვეში 90 ფუთს მაინც, ანუ წელიწადში 1,090 ფუთს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი დიდს ცვლილებას გამოიწვევს ჯერ ამერიკის შტატებში და მერე მთელის დედამიწის ზურგზედ. ჯერ ერთი რომ ეხლანდელს წარმოებას ოქროს მადნებში ცუდი დღე დაუდგება და შემდეგში, უეჭველია, თვით ოქროსაც, სულ ერთია ხელთ-უქმნელი იქმნება იგი, თუ ხელთ-ქმნილი, ფასი დააკლდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ნოემბერი

**ვარშავა.** 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათსა და 31 წუთზედ, სადგურ პუშზედ საქონლის მატარებელი № 23 დაეჯახა საქონლისა და სახალხო მატარებელს № 23. ამ უბედურ შემთხვევის დროს სახალხო მატარებლის უკანასკნელი ვაგონები ძალიან დაშავდა. 11 კაცი მოკლული აღმოჩნდა, 22—დაჭრილი, მათ შორის 4 მძიმედ არის დაჭრილი. პირველ დახმარების შემდეგ დაჭრილები ვარშავაში გადაიყვანეს და ყრმა იესოს საავადმყოფოში მოათავსეს. სასამართლოს მოხელეებმა ინსპექციითურთ დაწვრილებით გამოიძიეს საქმე იქ, სადაც უბედურება მოხდა. საქმის გამორკვევამდე თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნენ: დამნაშავე მეისრე, რომელიც უკვე დაიმალა, უფროსი მეისრე, სადგურ პუშის მორიგე, საქონლის მატარებლის № 23 კონდუქტორები და მემანქანენი და ადგილობრივის გზის რევიზორი.

**პრაგა.** საღამოზედ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ქალაქის სხვადა-სხვა ადგილას პოლიციამ დემონსტრაციებში მრავალი მონაწილე გაჰფანტა. უკმაყოფილო ხალხი ნემენცთა თეატრთან მივიდა, ფანჯრები ჩაამტვრია და პოლიციას ქვები დაუშინა. ეგერთა ორმა რაზმმა და პოლიციამ გაჰფანტა ბრბო. რამდენიმე კაცი დაიჭრა. 7 კაცი დააპატიმრეს. $9\frac{1}{2}$ საათზედ მშვიდობიანობა დამყარებულ იქმნა.

**ბუქარესტი.** პალატამ ხელ-ახლად აარჩია წინანდელი პრეზიდენტი ჯიანნი. სენატმა პრეზიდენტად ისევ ევგენი სტატსკი აირჩია.

**პარიჟი.** პოლკოვნიკ პივარს არავითარი სასჯელი არ გადახდა. წერილები, რომელიც იმის სადგურიდგან წაიღეს, გენერალმა პელიემ უკანვე დაუბრუნა.

**პარიჟი.** ბურბონის სასახლის დერეფანში ისეთი ალიაქოთი არასოდეს არა ყოფილა, როგორიც დღეს იყო. დრეიფუსის საქმემ ცხარე ლაპარაკი გამოიწვია. ყველა ერთ-ხმად ალიარებს, რომ ის წერილები, რომელნიც ესტერგაზის მიაწერეს,—საზარელია. იმათ სინამდვილეში ჯერ კიდევ ეჭვი აქვთ. ვექილი ლევიცი უარსა ჰყოფს ერთის გაზეთის მიერ გავრცელებულს ამბავს, რომ ვითომ იმას პიკართან ერთად შეეთხუზოს საქმე შერერკესტნერის წინააღმდეგ. „Patrie“ ჰფიქრობს, რომ გენერალ პელიეს გამოძიება მათე დრეიფუსის მიერ ესტერგაზის ბრალდებას შესახებ საქმის მოსპობით დასრულდება, რადგანაც საკმაო გეში ვერ იპოვნეს, ხოლო იმ წერილების შესახები საქმე, რომლებსაც ესტერგაზის აწერენ, იმითი გათავდება, რომ გამომძიებელ კომისიას გადასცემენ. შერერ-კესტნერის მეგობრები მაინც ჰფიქრობენ, რომ გამოძიების შედეგი ჯერ გამორკვეული არ არისო.

19 ნოემბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: საგანგებო ელჩი სერბიაში ალექსანდრე იზვოლსკი დანიშნულ იქმნა საგანგებო ელჩად ბავარიაში. კონსტანტინეპოლის სიელჩოს წევრი ვალერიან ჟადოვსკი დანიშნულ იქმნა საგანგებო ელჩად სერბიაში. კალუგას გუბერნატორი ოფროსიმოვი დანიშნულ იქმნა კალუგას გუბერნატორად.

**ხარკოვი.** წუხელის დაიწვა ბალაშოვის რკინის გზის სადგური.

**ბაქო.** 18 ნოემბერს ციხეში ჩამოარჩვეს ავაზაკი აზისბეგ-ჰაჯი-ალი-ჰასან-ბეგი.

**ვენა.** ოფიციალური გაზეთი ,,Freudenblatt‘‘ აცხადებს შემდეგს სიას მინისტრებისას, თუმცა თან დასძენს, სინამდვილის თავმდებობას არა ვკისრულობთო: გაუჩი—მინისტრი-პრეზიდენტი და მმართველი შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ველზერჰეიმი—მინისტრი სახელმწიფოს დაცვისა სამინისტროსი; ბემბავერკი—ფინანსთა მინისტრი; ვიტტეკი—მინისტრი რკინის გზათა. ლატური—საერო განათლებისა; კერბერი—ვაჭრობისა; კლეინი—იუსტიციისა.

**ლონდონი.** წუხელი დიდი ქარიშხალი და ღელვა იყო. წყალმა წალეკა ნავთსადგურები და წაიღო სახლები; რკინის გზის ლიანდაგი წყალმა დაჰფარა; მრავალი გემი ნაპირას გადმოყარა; ექვსი გემი დაიღუპა ზღვაოსნებით.

**ბერლინი.** სეფე სიტყვა წაკითხული იმპერატორის მიერ, პარლამენტის კრების დაწყების დროს, აღნიშნავს ფლოტის გაძლიერების საჭიროებას; შემდეგ მოხსენებულია კანონ-პროექტები შესახებ საფოსტო-საზღვაოსნო მისვლა-მოსვლისა გერმანიასა და აზიას შორის, შესახებ სამხედრო გემების კეთებისათვის რეფორმების შემოღებისა და სხვ. საფინანსო ვითარება კმაყოფელია, ასერომ სხვათა შორის, მორიგ შესავლიდგან შეიძლება დიდ-ძალი ფული გადიდვას არტილერიის საქმის შესაცვლელად. ჩინეთში მომხდარ ამბების შესახებ ნათქვამია, რომ მისიონერთა მოკვლამ იძულებულ გვყო გაგვეგზავნა ესკადრა კიანტ-შაურის ნავთ-სადგურში და იქ გადმოგვესხა ჯარი, რომ სრული დაკმაყოფილება მიგვეტო და პირობა ჩამოგვერთმია, რომ ასეთი ამბავი აღარ მოხდება. დასასრულ მოხსენებულია, რომ უცხო სახელმწიფოებთან საპოლიტიკო

---

პრესტონჯეეს მიერ ლონდონში დაარსებულ სავაჭრო სახლის ერთ უმთავრესს მონაწილეთაგანად ითვლებოდა, ხოლო დედა, ემე, თავისუფალის აზრებით და განათლებით სახელგანთქმულის მანაკჟი კარსეჯის ქალიშვილი იყო. მანაკჟი კარსეჯიმ პირველმა გაგზავნა თავისს ქალიშვილები ევროპაში და იქ სწავლა-განათლება მიაღებინა.

განვითარებულის და ჭკვიანის ნათესავების წყალობით, მისს ფრენა კამამ მშვენიერი განათლება შეიძინა. ის პატარაობითვე შეუდგა წიგნის კითხვას და სხვა და სხვა საგნების სწავლებას და სამკურნალო ინსტიტუტში შესვლის დროს უკვე საკმაოდ განათლებული და განვითარებული იყო. 1892 წელს, ინსტიტუტის გათავების შემდეგ, ფრენი კამა ინგლისში წავიდა და იქ ჯერ „Creat Armond strect Hospital“-სა და შემდეგ ედინბურგის „jnfirmary Hospital“-ში დაამთავრა სწავლა. გარდა ამისა მან ბრიუსელის უნივერსიტეტიდგან სამკურნალო მეცნიერების დოქტორის მოწმობა მიიღო.

ბომბეაში დაბრუნდა თუარა ფრენი კამა, პრესტანჯე კამას მიერ დაარსებულ საავადმყოფოში მიიწვიეს. ამ ჟამად იგი ფიზიკის პროფესორია. 1896 წელს ე. ი. შარშან მისს ფრენი კამა შეირთო მიურცეენგმა, რომელიც ბომბეიში ვექილობს. პარიჟში კამა დაიარებოდა პასტერის ინსტიტუტში და გ. ვიალას ხელმძღვანელობით მან შეისწავლა ცოფისა და ყვავილის აცრა. კამას აზრადა აქვს პასტერის ინსტიტუტი ინდოეთშიაც დააარსოს, თუმცა-კი ძალიან ეშინიან, რომ ინდოეთის ხალხთან ცრუ-მორწმუნეობა და შეხედულობა დიდს დაბრკოლებას აღმოუჩენენ ასეთს სასარგებლო დაწესებულებას.

რიუკმაბაი. თავისს თხუზულებაში პანტიტა რამაბაი დიდი წინააღმდეგია ახალგაზდათა ქორწინებისა. ის ჰქადაგებს, რომ პატარების შეუღლება მეტად მავნებელია, როგორც კაცისა, აგრეთვე ქალისათვის და საჭიროა მოისპოს ასეთი ჩვეულებაო. ეს საგანი დიდ ხანს იყო მართლ-მორწმუნეთა და ლიბერალთა სალაპარაკო, მაგრამ ცოლ-ქმრობის დარღვევისა და ქორწინების გაუქმების შესახებ არც ერთსა და არც მეორეს ხმა არ ამოუღია. ახალგაზდათა ქორწინება თუმცა კანონით არ არის დადებული, მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ,,ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო‘‘, იგი ინდოელთ კანონზედ უარესად აქვთ შესისხლხორცებული.

პირველი ინდოელი—ქალი, რომელმაც საუკუნოებით დადებულის წესის დარღვევა და ქმრისაგან გაშორება მოინდომა, რიუკმაბაი იყო.

რიუკმაბაი დაიბადა 1865 წელს ქალაქ ბომბეიში. იმისი მამა ჟანარდან პანდიურანგ პარბუსთა წოდებას ეკუთვნოდა და გარდაიცვალა მაშინ, როდესაც იმისი ქალიშვილი ჯერ ისევ აკვანში იწვა. იმისი დედა ჟაიანტიბე მეორედ გათხოვდა **) და შეირთო სახელგანთქმული ექიმი საკარამ არჯონი. დედმამამ რიუკმაბაი 16 წლის დადაჟი ბიკაჟის მიათხოვეს და 1876 წელს ქორწილი წესისამებრ გადაიხადეს. ექიმმა საკარამ თვით იკისრა ახალგაზდა სიძის აღზრდა-განათლება. მაგრამ, აგებულობით სუსტი და ჭკუით ცოტა ნაკლები დადაჟი, უარზედ იყო და უფრო მუქთად ჯდომას ამჯობინებდა გონების განვითარებასა და განათლებას. ხოლო რიუკიმაბაი თავისს ქმრის სწავლის გათავებამდე დედასთან დარჩა. მთელი ეს დრო მან წიგნების კითხვასა და გონების განვითარებას მოანდომა. როდესაც ქმრის სახლში წასვლის დრო მოახლოვდა და როდესაც განათლებულმა და განვითარებულმა რიუკამაბაიმ თვისი უვიცი ქმარი გაიცნო, ის უარზედ დადგა და საქვეყნოდ განაცხადა, მე მაგისთანა ქმარს ვერ გავყვებიო. და დაჟიმ ამის გამო საჩივარი შეიტანა და ამ დღიდგან დაიწყო უბედურება ახალგაზდა ქალისა, რომლის საქმეც რამდენიმე სასამართლო დაწესებულებამ განიხილა. მოსამართლემ პინემ, რომელთანაც პირველად საჩივარი იქმნა შეტანილი, საქმე რიუკამაბაის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ამ გადაწყვეტილებით დარღვეულ იქმნა წესი, რომელიც მანამდის წმინდათ და ხელ შეუხებლად ითვლებოდა და კიდეც ამიტომ რიუკამაბაის საქმის განაჩენმა მთელი ინდოეთი ფეხზედ დააყენა. ინგლის-ინდოეთსა და მკვიდრთა ჟურნალ-გაზეთებს შორის საშინელი კამათი ასტყდა. ლიბერალები სიხარულით მიეგებნენ ამ განაჩენს და მიულოცეს ინდოეთს განახლება და ამაღლება, ხოლო კონსერვატორებმა ოჯახის, ერის და სახელმწიფოს შეურაცხყოფად ჩასთვალეს იგი.

ამ დროს ექიმი საკარამა გარდაიცვალა და რიუკმაბაი სწორედ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ბიძა რომ არ გამოსარჩლებოდა და დახმარება არ აღმოეჩინა. არ გასულა ბევრი ხანი, რომ გაზ. ,,times of India“-ში ორი დიდი წერილი დაისტამბა. რიუკამაბაიმ (წერილების ავტორი ის იყო) ამ გაზეთში შესაბრალისის და ცრემლის მომგვრელ სურათებით აღწერა ის ტანჯვა-ვაება და წვა-დაგვა, რომელიც ახალგაზდათა ქორწინების შედეგია. ამ წერილებმა მთელი ინდოეთის ყურადღება მიიქცია.

ბოლოს ბომბეის უმაღლესმა სასამართლომ, განიხილა რა დადაჟის საპელაციო საჩივარი, მოსამართლეს პინეს დადგენილება გააუქმა და საქმე ხელ-ახლა გამოსაძიებლად გადასცა. ამ საქმის გარჩევის დროს ინგლისელთა და პარსთა წოდების ინდოელთ რიუკამაბაის მხარი ეჭირათ. ცალკე კომიტეტიც-კი შესდგა, რომელსაც აზრად ამ ქალის დაცვა-გამართლება ჰქონდა; ბ-ნი ბოვნარგე, რომელიც ამ ჟამად პარლამენტის წევრია, ამ კომიტეტის მდივანად იყო. ამბობენ, რომ თავის მხრით დადაჟიმაც აუარებელი ფული მიიღო მართლ მორწმუნეთაგან საქმის განსაგრძნობად. 1887 წელს, სასამართლოს თავმჯდომარემ, სირ სარჟენმა გადასცა საქმე განსახილველად ინდოეთის კანონებისამებრ. რიუკამაბაის გადაუწყვიტეს ან თავის ქმარს გაჰყვეს, ან ექვსი თვით დაპატიმრებულ იქმნას. რიუკამაბაიმ დაპატიმრება არჩია ქმრის გაყოლას და ამ გადაწყვეტილებამ ხელ-ახლა აალაპარაკა და ააშფოთა მთელი ინდოეთი. ინგლისელი მეგობრები ურჩევდნენ რიუკამაბაის საქმე ინგლისის იმპერიის საიდუმლო საბჭოში გადაეტანა, ეპატიჟებოდნენ თვით წასულიყო ლონდონში და ეწარმოებინა საქმე. დადაჟი ამ ამბავმა საშინლად დააშინა, ის მიხვდა, რომ ლონდონში საქმეს წავაგებო, და ამიტომ საჩივარი უკანვე გამოიტანა და შინაურ მორიგებაზედ თანხმობა განაცხადა. ამ მორიგების ძალით რიუკამაბაი ვალდებული გახდა გადაიხადოს დადაჟის სასარგებლოდ ფული და არაოდეს აღარ გათხოვდეს, თვით დადაჟის-კი ცოლის შერთვის უფლება მიეცა. 1889 წელს, მიულლერისა და მ. ლარენის რჩევით, რიუკამაბაი ინგლისში წავიდა და რამდენისამე თვის განმავლობაში ინგლისური ენა შეითვისა. რადგანაც რიუკამაბაის მკურნალობის შესწავლა ჰქონდა აზრად, ის ჯერ ,,Arts Examin. of the Society of Apothecaries“-ში შევიდა, სადაც ლათინური ენა გაიკვეთა და შემდეგ „London school of medicine for“ გაათავა. 1894 წელს ედინბურგსა და გლაზგოვში გამოცდილ იქმნა და შემდეგ ბრიუსელში მკურნალობის მეცნიერების დოქტორის ხარისხი მიიღო. ამავე წლის ნოემბერს რიუკამაბაი ბომბეიში დაბრუნდა. პირველადვე კამას საავადმყოფოში დაიწყო მკურნალობა, ხოლო ამ ჟამად სიუსატში ახლად დაარსებულ საავადმყოფოს განაგებს.

ი.

**) პარბუსთა წოდების ქალებს მეორედ გათხოვების ნება აქვთ.

განყოფილემა მეტად სასიამოვნოა. იმპერატორის მიერ ნახვა მეგობარ და მოკავშირე ხელმწიფეთა ჩინებული იყო. გულითადი დახვედრა პეტერგოფსა და ბუდაპეშტში ახალი თავდებია ამისი. ყოველივე ნიშნებია ამისი, რომ ამიერიდგანაც მშვიდობიანს განვითარებას ევროპისა და გერმანიისას არაფერი შეაფერხებს.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 211 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100¾ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 100½ | — „ | -- „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 294 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 254 | — „ | — „ |

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა**

ამით აცხადებს რომ მე 45 ჩვეულებრივის და გაძლიერებულის მე-5 კონვერსიის ტირაჟში, რომელიც იყო 8 ნოემბერს 1897 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის 6% და 5% გირავნობის ფურცელთა.

1) 6% გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრამდე 1881 წლ. (1874 წ. 28 მაისის წესდების ძალით არა ურთიერთის თავდებობით).

ას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

2 სერ. №№ 47, 152.
3 „ № 127.
11 „ №№ 68, 125, 169, 170, 211, 248 287, 301.

43½ წლით.

9 სერ. №№ 57, 153, 255.
11 „ №№ 6, 128, 134.

54½ წლით.

3 სერ. №№ 28, 38.
5 „ № 5.

ხუთას მან. ღირებულობისა.

54½ წლით.

2 სერ. № 14.
5 „ № 109.

ათას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

10 სერ. № 26.

2) 6% გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1881 წლ. 1 იანვრიდგან (1881 წლის 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

ას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

2 სერ. №№ 24, 92, 119, 125, 142, 166, 181, 209, 269, 296, 324, 374, 420.
4 „ №№ 49, 84, 95, 104, 118, 163, 184, 224, 229, 232.
7 „ №№ 9, 117, 142, 170, 171, 179, 189, 211, 212, 264.
9 „ №№ 9, 37, 50, 69, 78, 82.
11 „ №№ 21, 45, 53, 54.
12 „ №№ 15, 28, 32, 44.
13 „ №№ 143, 184, 239, 241, 281.
15 „ №№ 136, 209, 251, 276, 617.
17 „ №№ 7, 11, 26, 36, 51, 59, 90, 132, 145, 156, 193, 194, 223, 225, 260, 266, 284, 298, 300.
18 „ №№ 2, 7, 38, 72, 80, 103, 113, 128, 136, 245, 249, 319, 326, 327.
19 „ № 58.
20 „ №№ 77, 125, 135, 201, 368, 384, 387.

ხუთას მან. ღირებულობისა

27½ წლით.

2 სერ. №№ 44, 45, 50, 98, 114, 143.
7 „ №№ 8, 21, 38.
10 „ № 5.
11 „ № 10.
13 „ № 49.
15 „ № 106.
16 „ №№ 12, 49.
17 „ №№ 6, 8, 16, 19, 22, 27, 42, 44, 50, 53, 59, 60, 65, 68, 81, 83, 107, 111, 114, 125, 134, 137, 141, 142, 145, 150, 152, 153, 159, 166, 167, 169, 172, 177, 178, 184, 188, 190, 195, 197, 300, 202, 205, 214, 215, 216, 221, 222, 224, 225, 227, 229, 231, 236, 239, 244, 245, 247, 249, 256, 258, 260, 268, 272, 274, 277, 280.
18 „ №№ 28, 35, 41, 110, 121, 148, 284, 289, 405.
19 „ №№ 11, 48, 57, 146, 170, 186, 196, 234.
20 „ №№ 10, 61, 167.

ათას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

7 სერ. №№ 162, 285.
11 „ №№ 71, 88, 142, 278, 279.
15 „ № 137.
18 „ №№ 47, 114, 118, 160, 192, 246, 309, 353, 488, 531, 602, 670, 672.
19 „ №№ 15, 170.
20 „ №№ 134, 329.

ას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

3 სერ. №№ 44, 63, 73, 76, 109.
5 „ №№ 24, 54, 87, 104, 122.
7 „ №№ 47, 48, 58, 90, 92, 94.
14 „ №№ 18, 30, 54.
18 „ №№ 6, 12.
19 „ №№ 8, 57.
20 „ №№ 4, 112.
21 „ №№ 31.

ხუთას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

2 სერ. №№ 24, 27.
8 „ №№ 20, 67.
9 „ № 10.
13 „ №№ 2, 20.
14 „ № 12.
19 „ №№ 7, 8, 12, 33.
20 „ №№ 1, 14, 23.

ათას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

18 სერ. №№ 20, 25.
19 „ № 27.
21 „ №№ 10, 44.

3) 5% გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1891 წ. 1 ივლისიდგან (1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით)

61 წ. 8 თ.

ას მან. ღირებულობისა.

1 სერ. №№ 988, 1000, 1004, 1026, 1048.

ხუთას მან. ღირებულობისა.

„ სერ. № 315.

ათას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 382, 394, 409, 411, 413, 426, 717, 727.

36 წ. 4 თ.

ას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 228, 439, 527, 1581, 1891, 2183.

ხუთას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 358, 427, 433.

ათას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 114, 139, 191, 198, 201, 252, 454, 478, 650, 845.

29 წ. 9 თ.

ას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 7, 57.

უვადონი.

ას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 889, 1819, 5753.

ხუთას მან. ღირებულობისა.

„ სერ. №№ 936, 1687, 2936, 3611, 4287.

ათას მან. ღირებულობისა.

№№ 14, 519, 600, 617, 719, 974, 979, 1258, 1328, 1509, 1510, 2026, 2027, 2028, 2029, 2241, 2351, 2404, 2416, 2550, 2642, 2643, 2675, 2767, 2856, 2859, 2860, 2862, 2863, 2864, 2866, 2934, 3011, 3106, 3132, 3138, 3213, 3214, 3253, 3323, 3336, 3656, 3739, 3741, 3777, 3780, 3781, 3800, 3835, 3836, 3837, 3866, 3890, 3894, 3930, 3931, 3932, 4056, 4057, 4190, 4193, 4194, 4300, 4501, 4513, 4559, 4562, 4757, 4826, 4827, 4828, 4829, 4831, 4835, 4837, 4838, 4842, 4904, 4930, 4933, 5024, 5025, 5026, 5027, 5031, 5050, 5248, 5621, 5901, 5914, 5942, 5943, 5944, 5977, 6013, 6295, 6616, 6877, 6980, 6990, 7228, 7229, 7234, 7235, 7477, 7478, 7479, 7480, 7565, 7698, 7709, 7771, 7772, 7773, 7774, 8007, 8198, 8408, 8671, 8672, 8755, 8781, 8782, 8783, 8993, 9129, 9260, 9310, 9399, 9410, 9716, 10019, 10054, 10135, 10138, 10174, 10253, 10254, 10255, 10305, 10471, 10606, 10607, 11117, 11118, 11119, 11120, 11248, 11249, 11853, 11867, 11892, 11945, 11966, 11967, 12021, 12033, 12075, 12112, 12115, 12415, 12421, 12494, 12495, 12496, 12505, 12717, 13141, 13218, 13564, 13601, 13700, 13807, 13838, 14059, 14140, 14159, 14189, 14260, 14317, 14327, 14328, 14329, 14349, 14357, 14368, 14401, 14417, 14425, 14475, 14612, 14620, 14625, 14639, 14640, 14641, 14642, 14721, 14729, 14734, 14739, 14740, 14932, 14933, 15178, 15200, 15226, 15233, 15234, 15267, 15268, 15309, 15507, 15514, 15525, 15837, 15838, 15910, 15983, 15985.

4) 6% გირავნობის ფურცელნი, მე-45 გაძლიერებულის მე-5 კონვერსიის ტირაჟში გამოსულნი. (სარგებლის მატება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მეხუთე კონვერსიის მე-45 გაძლიერებულს ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1898 წლის 2 იანვრიდგან).

ა) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1881 წ. 1 იანვრამდე (1874 წლის 28 მაისის წესდების ძალით—არა ურთიერთის თავდებობით).

ას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

8 სერ. №№ 28, 45, 51, 55, 62, 69, 102, 104, 110, 131, 136, 145, 154, 155, 174, 183, 212, 215, 229, 240, 244, 273, 281, 300, 312, 314.

54½ წლით.

2 სერ. №№ 20, 33, 44, 45.
3 „ №№ 21, 59, 60.

ხუთას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

10 სერ. № 9.

54½ წლით.

2 სერ. №№ 3, 4, 30, 33, 36, 37, 39, 42.
3 „ №№ 2, 4, 5, 9, 11, 13, 16, 19, 24, 27, 29, 31, 32, 33, 35, 39, 42, 43, 44, 45, 48, 50, 51, 53, 54, 61, 65, 66, 72, 74, 79, 80, 83, 84, 85, 87, 89, 90, 91, 93, 94, 95, 97, 98, 99.

ათას მან. ღირებულობისა.

43½ წლით.

11 სერ. № 4.

54½ წლით.

3 სერ. №№ 10, 12, 17, 34, 35, 41, 45, 62, 72, 78.

ბ) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრის შემდეგ 1881 წლისა (1881 წ. 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

ას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

11 სერ. № 17.
12 „ №№ 4, 5, 14, 29, 42, 53, 66.
16 „ №№ 65, 82, 126.
17 „ №№ 15, 60, 131, 134, 217, 259.
18 „ №№ 12, 18, 158.
19 „ №№ 175, 222, 258.

ხუთას მან. ღირებულობისა.

27½ წლით.

7 სერ. № 23.
9 „ № 25.
11 „ № 11.
16 „ № 69.
18 „ № 223.
19 „ №№ 132, 144, 235, 262.

ათას მან. ღირებულობისა.

37½ წლით.

7 სერ. №№ 105, 304.
9 „ №№ 59, 60, 63.
11 „ №№ 18, 87.
16 „ №№ 19, 82, 134, 162.
18 „ № 428.

43½ წლით.

ას მან. ღირებულობისა.

5 სერ. №№ 144, 167.
8 „ №№ 12, 44, 74, 85, 103, 110, 122, 139, 218, 271, 283, 285, 308, 327, 352.
18 „ №№ 3, 7, 20, 23, 32, 36, 38, 41, 52, 54.
20 „ №№ 20, 64, 76, 83, 106, 110, 114, 115, 123, 135.
21 „ №№ 7, 8, 18, 32, 48, 72.

ხუთას მან. ღირებულობისა.

2 სერ. №№ 2, 4, 12, 19.
5 „ № 8.
8 „ №№ 60, 62.
18 „ №№ 25, 57, 61.
19 „ №№ 5, 17, 23, 27, 31.
20 „ №№ 3, 25, 34, 41, 42, 43.
21 „ № 28.

ათას მან. ღირებულობისა.

3 სერ. №№ 53, 83, 91, 104, 108.
9 „ №№ 2, 17, 45.
11 „ №№ 5, 6, 13, 30, 31, 40, 44.
17 „ №№ 1, 9.
18 „ №№ 7, 27, 31, 33, 34, 45, 51, 52, 54, 55, 70, 71, 82, 84, 86.
20 „ №№ 3, 4, 6, 14, 17.
21 „ №№ 1, 54.

სარგებლის მატება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მეხუთე კონვერსიის მე-44 ჩვეულებრივსა და გაძლიერებულს ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1898 წ. 2 იანვრიდგან. ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1898 წ. 2 იანვრიდგან; ვადაზე ადრე წარმოდგენილნი გარდახდილ იქმნებიან გამოკლებით. დაკლებულ კუპონების ნაცვლად, იმათი ფასი იქმნება დაჭერილი.

ამ გირავნობის ფურცლებით ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში,—პეტერბურგში—პეტერბურგის გამანაღდებელს (учетный) და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა მის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებაში, ქ. ოდესსაში—ბ ნ ო. ხაისთან, მოსკოვში—მოსკოვის გამანაღდებელს ბანკში, მოსკოვის საერთა-შორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში, ტაგანროგში—აზოვო—დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Ноября 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.